სსიპ საქართველოს
კინემატოგრაფიის ეროვნული
ცენტრის დირექტორი

25 აპრილი 2024

N 94

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

„კონკურსის „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ” სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 16 აპრილის №81 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების დამტკიცების თაობაზე” საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის მინისტრის ბრძანება 2006 წლის 7 აგვისტოს №3/256 ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის ,,თ“ ქვეპუნქტის, „სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საკონკურსო დებულებისა და საექსპერტო კომისიის დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს კულტურისა და სპორტის მინისტრის 2024 წლის 25 მარტის №05/36 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ –საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის საექსპერტო კომისიის დებულების“ მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტის და სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის ფილმწარმოების დეპარტამენტის ფილმწარმოების სპეციალისტის 2024 წლის 19 აპრილის №1-155 და 22 აპრილის №1-161 მოხსენებითი ბარათების შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „კონკურსის „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობის (ჟიურის) შექმნის შესახებ” სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2024 წლის 16 აპრილის №81 ბრძანებაში და ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის (შემდგომ - ეროვნული კინოცენტრი) მიერ კონკურსის „წარმოების დასრულების ეტაპზე მყოფი სრულმეტრაჟიანი/მოკლემეტრაჟიანი მხატვრული, დოკუმენტური და ანიმაციური ფილმების დაფინანსება“ ფარგლებში წარდგენილი განაცხადების განხილვის მიზნით, შეიქმნას საექსპერტო კომისიის პირველი შემადგენლობა (ჟიური) შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ლევან ანჯაფარიძე** - რეჟისორი;

ბ) **თეიმურაზ ჭიჭინაძე** - მსახიობი;

გ) **გიორგი გურგულია** - მსახიობი;

დ) **ერეკლე ტრიპოლსკი** - კინორეჟისორი;

ე) **მაია არჩვაძე** - სცენარისტი და კინორეჟისორი.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: თბილისი, დავით აღმაშენებლის №64).

კობა ხუბუნაია

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი